ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 4125210001**
თარიღი:**29/07/2025**

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი “24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2025 წლის 6 თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ

საქმისწარმოების განყოფილება:

2025 წლის 3 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით დარეგისტრირდა 7695 შემოსული განცხადება და მო მართვა; გასული კორესპოდენცია - 3174.

განყოფილებამ უზრუნველყო შემოსული და გასული კორესპოდენციების სათანადოდ გაფორმება და ადრესატებისათვის გადაცემა, ასევე საქმეთა მომზადება არქივისათვის ჩასაბარებლად.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება:

2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში განყოფილებას შესასრულებლად დაეწერა 1571 კორესპოდენცია, რაზეც განსაზღვრული ვადის ფარგლებში განხორციელდა მათი დამუშავება და შემდგომი რეაგირება. შესაბამისად, აღნიშნულ წერილებზე თუ განცხადებებზე გამოცემული იქნა ინდივიდუალური სამართლებლივი აქტები და გაცემული იქნა ვადის დაცვით შესაბამისი პასუხები. განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა 695 ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის პროექტი. ასევე სისტემატიურად ხორციელდებოდა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული ავტომატიზირებულ სისტემაში (www.ehrms.ge) ყველა იმ მონაცემების ასახვა, რომელიც ეხებოდა მოხელეებს, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომლებს.

მერის სამართლებრივი აქტით წლის დასაწყისში დამტკიცებული იქნა სამსახურების 2025 წლის სამუშაო გეგმა. ასევე დამტკიცებულ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2025 წლის გეგმა, რომელთა გათვალისწინებით განყოფილების მიერ პერიოდულობით ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში გათავისუფლებული იქნა 5 მოსამსახურე. მათ შორის: პირადი განცხადების საფუძველზე 2 პროფესიული საჯარო მოხელე, 1 მოხელე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასამებული პირი და 2 მოსამსახურე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილების და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის ივნისის თვის დასაწყისში განხორციელდა მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა შეფასება. საანგარიშო პერიოდში შეფასებას დაექვემდებარა 72 პროფესიული საჯარო მოხელე და შედეგები კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში აისახა eHRMS სისტემაში.

შესყიდვების განყოფილება:

განყოფილებამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე, განახორციელა სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა; საქონლის შესყიდვა, მომსახურების შესყიდვა და სამუშაოების შესრულების შესყიდვა. შესყიდვების განსახორციელებლად შესაბამისი განყოფილების მიერ მომზადებულია 133 (ასოცდაცამეტი) ხელშეკრულების პროექტი, აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებამდე განყოფილება აწარმოებდა ბაზრის კვლევას ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის და უმცირესი ფასის წარმომდგენ ორგანიზაციასთან სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვ(ებ)ის განსახორციელებლად აფორმებდა ხელშეკრულებას, რომელთა ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 13320743 (ცამეტიმილიონსამასოციათასშვიდასორმოცდასამი) ლარს. მათ შორის ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის შეძენაზე გაფორმდა 276115

ლარის ღირებულების ხელშეკრულება, ხოლო უშუალოდ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე - 10 653 956 (ათი მილიონ ექვსასორმოცდაცამეტი ათას ცხრაასორმოცდათექვსმეტი) ლარზე.

ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის გამოცხადების/ჩატარების საშუალებით, სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაო(ები)ს შესრულების შესყიდვისათვის, განყოფილების მიერ გამოცხადებულია 41 (ორმოცდაერთი) ელექტრონული ტენდერი. ყველა შემდგარ ტენდერზე განყოფილების მიერ განხილულია პრეტენდენტების წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციები (წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციები ასევე განიხილა სატენდერო კომისიის წევრებმა) და განხილვის შედეგად მომზადებულია შესაბამისი ინტერესთა კონფლიქტები, ოქმები და წერილები რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად ატვირთულია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე. განყოფილების მიერ, მუნიციპალიტეტის სახელით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ატვირთულლია http://www.procurement.gov.ge/ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ყველა ატვირთულ ხელშეკრულებაზე, ასევე ატვირთულია ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივად გადარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ: მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, ინსპექტირების/კონტროლის ჯგუფის დასკვნა, ურთიერთშეთანხმების აქტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას ყოველთვიურად წარედგინა ანგარიში ctd.spa.ge სისტემის საშუალებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდებოდა საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ყველა იმ ბრძანების შესაბამისად, რომლებიც უშუალოდ არეგულირებენ სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება:

2025 წლის იანვრიდან დღემდე, განყოფილება, ოპერატიულად და თანმიმდევრულად ახორციელებდა მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის პროაქტიულ გამოქვეყნებას; საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული სტრუქტურული ერთეულების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიისა და ზოგადად, მოსახლეობის ოპერატიულ საინფორმაციო უზრუნველყოფას.

ამ მიზნით, ოფიციალური სოციალური ქსელების მეშვეობით, მოსახლეობის ოპერატიული ინფორმირება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების და ღონისძიებების შესახებ.

საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება ხორციელდება მერიის ოფიციალური ვებგვერდისა (www.senaki.gov.ge) და Facebook და Instagram გვერდის მეშვეობით. აქტიურად გამოიყენება ვიდეო კონტენტიც, კერძოდ, მერიის ოფიციალური გვერდი www.youtbe.com-ზე.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, განყოფილების საქმიანობა აქტიურად მიმდინარეობდა. მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.senaki.gov.ge), Facebook, Instagram და www.youtbe.com-ზე მერიის სამსახურების მიერ შესრულებული სამუშაოები და სხვა სიახლეების ამსახველი მასალები ქვეყნდებოდა ოპერატიულად, მათი რაოდენობის პროცენტული ზრდის და ხარისხობრივი სრულყოფის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ყოველდღიურად, ოფიციალურ გვერდებზე, სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი რამდენიმე სიახლე იდებოდა. თანმიმდევრულად და ეტაპობრივად ქვეყნდებოდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა შესრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტი. განყოფილების მიერ აქტიურად გრძელდებოდა რუბრიკების წარმართვა კონკრეტული პროექტების განხორციელების ასასახად, როგორებიცაა: ,,სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები'', ,,საავტომობილი გზის მოწყობისა და რეაბილიტაციის ინფრასტრუქტურული პროექტები'', ,,სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა 2025'' , ,,გაზიფიცირების სამუშაოები სენაკში'', ,,წყალმომარაგების სისტემის მასშტაბური პროექტები'', სპორტული

ინფრასტრუქტურის, სოციალური პროგრამების, ტურიზმის განვითარების და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისადმი მიძღვნილი რუბრიკები. საზოგადოებას თვალსაჩინოდ და ამომწურავად მიეწოდებოდა ინფორმაცია განათლების, კულტურის, სპორტული მიღწევების, მნიშვნელოვანი დღესასწაულებისა და ფესტივალების შესახებ.

აღსანიშნავია, სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი ბანერების და ვიდეორგოლების განთავსების გაზრდილი და თვისობრივად გაუმჯობესებული მაჩვენებელი. განყოფილების მიერ მომზადებული სიუჟეტები მასშტაბური პროექტების შესახებ, სხვადასხვა ტელეკომპანიის ეთერში, პერიოდულად გადაიცემოდა.

2025 წლის იანვრიდან, 6 თვის მანძილზე, ოფიციალურ ვებ და Facebook-გვერდებზე განთავსდა სხვადასხვა თემატიკის 253 მასალა, მათ შორის - 114 საინფორმაციო ბანერი და 16 ვიდეოსიუჟეტი. Facebook-გვერდის გამომწერების რაოდენობა 18,132 ათასს შეადგენს.

2025 წლის იანვრიდან დღემდე, განყოფილებას დაეწერა 26 კორესპონდენცია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის, თუ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების თაობაზე, რომლებზეც რეაგირება და პასუხების მომზადება განყოფილების მხრიდან უზრუნველყოფილ იქნა.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული.

განყოფილება რეგულარულად თანამშრომლობს სახელმწიფო კანცელარიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პრესსამსახურთან და სამეგრელო-ზემო სვანეთის PR ჯგუფთან. აგზავნის ყოველდღიურ გეგმებს და ყოველი კვირის მედიაგეგმას.

იურიდიული განყოფილება:

განყოფილებას შესასრულებლად დაეწერა 347 კორესპონდენცია. მომზადებულ იქნა 114 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, ასევე შემოსული წერილების პასუხები.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტისათვის მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად და დასამტკიცებლად გადაგზავნილ იქნა 7 ნორმატიული აქტის პროექტი.

განყოფილება ახორციელებდა სამართლებრივი აქტების პროექტების, მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებული ხელშეკრულებების, სამართლებრივი გამართულობის ექსპერტიზას და მათ ვიზირებას; საჭიროების შემთხვევაში, მერიის სამსახურებში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას. უწევდა სამართლებრივ კონსულტირებას, როგორც მერიის თანამდებობის პირებს, სამსახურებს და ა(ა)იპ-ს, ასევე სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ასევე მერიის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება:

განყოფილება 2025 წლის საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალიტეტის სამსახურებისა და წარმომადგენლების სარგებლობაში არსებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების და მათზე დამგრეგული მიწის ნაკვეთების მოვლა-პატრონობას, აღჭურვას, კეთილმოწყობას და კომუნალურ მომსახურებას - ამ საქმიანობის განხორციელება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას უწევს მუდმივად, მთელი წლის განმავლობაში.

კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკის (კონდეციონერები) მოვლა-პატრონობისთვის, ასევე რემონტისა და ტექნიკური მომსახურებისათვის გაწეულ იქნა სხვადასხვა სახის სამუშაო. სისტემატურად ხდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის შემოწმება მათი გამართული ფუნქციონირებისათვის. განყოფილებას ევალება მუნიციპალიტეტის მერიის სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობა, რემონტითა და ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა.

განყოფილება სისტემატიურად აფორმებს გაწეული მოსახურებისა თუ მიღებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტებს, ამზადებს დოკუმენტაციას, აწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტების რეესტრს, ასევე

აწარმოებს ფორმას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულებით გაწეული თანხებისა და მოწოდებული საქონლისა თუ შესრულებული მომსახურების მონაცემებისა და მათი სხვაობის შესახებ. განყოფილება უზრუნველყოფს მიღებული საქონლის თუ მომსახურების ჩაბარების პროცესს, 2025 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით განყოფილებას გაფორმებული აქვს 173 მიღება-ჩაბარების აქტი. მათ შორისაა ისეთი აქტები, რომელიც ყოველთვიურად ფორმდება და აუცილებელია მერიის სრულყოფილი ფუნქციონირებსათვის.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და მერიის სამსახურებისათვის სამსახურეობრივი ფუნქციების განსახორციელებლად საწვავის გამოყოფის თაობაზე" ბრძანების შესაბამისად ყოველთვიურად მიეწოდებათ საწვავი, განყოფილება უზრუნველყოფს სპეციალურ ბაზაში მუშაობას და ინფორმაციის მართვა-განახლებას. ხდება ბრძანებით გაწერილი საწვავის დაწერა-ჩამოწერა. მიმდინარე წელის 6 თვეში განხორციელებული ცვლილებებით გამოწვეული შეცვლილი ლიმიტების და საწვავის ტიპების განახლება მოხდა ბრძანების საფუძველზე.

2025 წლის პირველ ნახევარში მუნიციპალიტეტისთვის შეძენილი კომპიუტერების კომპლექტი, ლაზერული პრინტერები და კატრიჯები სამსახურებს გადაეცათ მიღება-ჩაბარების საფუძველზე.

ადმინისტრაციულ ერთეულებთან კოორდინაციის განყოფილება:

განყოფილების სპეციალისტებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მეშვეობით ყოველდღიურად წარმოებდა ინფორმაციის მიღება ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე პროცესებზე.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის" ფარგლებში ადმინისტრაციულ ერთეულებთან და საჯარო რეესტრის წარმომადგენლებთან ერთად შედგა გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვით ივნისის თვიდან დაიწყო მიწის ადგილზე დათვალიერების პროცედურები. მიწის რეგისტრაციის სამუშაოები პირველ ეტაპზე დაიწყო ზანისა და ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ორგანიზება გაეწია სოფლად კრებების ჩატარებას, ყოველდღიურად წარმოებდა მოსახლეობიდან შემოსული საპროექტო წინადადებების საფუძველზე დღის წესრიგების განსაზღვრა. სენაკის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 15 კრება, სადაც განხილულ იქნა სხავდასხვა საპროექტო წინადადება, შედგა ოქმები და მიეწოდა შესაბამის სამსახურს შემგომი სამუშაოების შესასრულებლად.

ციფრული მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, განყოფილების ჩართულობით სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის გაიმართა სემინარები და ტრენინგები ინტერნეტის მიზნობრივ და უსაფრთხო გამოყენებაზე და ციფრული წიგნიერების მიმართულებით. ასევე, აღნიშნული ტრენინტებში მონაწილოება მიიღეს მერის წარმომადგენლებმა და განყოფილების თანამშრომლებმა.

ორგანიზება გაეწია შეხვედრას სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთან ფაროსანასთან ბრძოლის სფეროში დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

სოფლის მეურნების სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ქვეყნის მასშტაბით დაიწყო სასოფლო-სამეურნეო და შინაური ბინადარი ცხოველების პროფილაქტიკური ვაქცინაციები, კვლევები და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, აღნიშნულზე მიეწოდა ინფორმაცია მერის წარმომადგენლებს, რომლებმაც სათანადო დახმარება აღმოუჩინეს სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ზემოაღნიშნული კომპანიების ჩასატარებლად ორგანიზაციული საკითხების დროულად გადაწყვეტაში.